ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05

6 ოქტომბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №97

ინფორმაცია სოციალური დახმარებების გაცემის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ

საკრებულო ადგენს:

1. სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გამგეობაში სოციალური დახმარებების გაცემის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ მიღებული იქნას ცნობად.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრარ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში,მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. №4-ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

ინფორმაცი

სოციალური დახმარების გაცემის საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ

2014 წლის ბიუჯეტით სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 317000 ათასი ლარი, შემდეგი სახის სოციალურ პროგრამებზე:

1. დედ–მამით ობოლი ბავშვებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება პროგრამით გათვალისწინებულია 3600 ლარი, ამ პერიოდისათვის გახარჯულია 2100 ლარი (სამი ბავშვი, თითოეულზე თვეში 100 ლარი);
2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე მეომრებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების სარიტუალო მომსახურებაზე გათვალისწინებულია 2500 ლარი, გახარჯულია 1000 ლარი; (4 მიცვალებული, თითოეულზე 250 ლარი.)
3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისათვის გათვალისწინებული 14200 ლარიდან გახარჯულია 10 000 ლარი; (იანვარი 2600 ლარი–სათბობის შეძენაზე 13 ოჯახი თითოეულს 200 ლარი, აპრილის თვეში დაიხარჯა 1000 ლარი აქედან 500 ლარი ერთჯერადად მიეცა ნატო გიორგაძის ოჯახს, 500 ლარი მიეცა ნანა მგალობლიშვილს,მაისის თვეში დაიხარჯა 250 ლარი აქედან 150 ლარი ყოველთვიური დახმარება მიეცა ნატო გიორგაძის ოჯახს, ხოლო 100 ლარი ნანა მგალობლიშვილს,ივნისის თვეში ნანა მგალობლიშვილს მიეცა ყოველთვიური დახმარება 100 ლარი, ივლისის თვეში 100 ლარი ყოველთვიური მიეცა ნანა მგალობლიშვილს, აგვისტოს თვეში გაიცა 1150 ლარი აქედან მერაბ ახობაძის, ლერი მგალობლიშვილის და მურთაზ ირემაძის ოჯახებს მიეცათ შესაბამისად 300-300 ლარი ერთჯერადად, ხოლო ზურაბ კიკვაძის ოჯახს და ნანა მგალობლიშვილს მიეცა ყოველთვიური დახმარება შესაბამისად 150 და 100 ლარი. (ზურაბ კიკვაძის ოჯახი ვერ მოხვდა სახელმწიფო დაფინანსებაში, იმიტომ რომ სახელმწიფო აფინანსებს იმათ ვინც დაიღუპა 1992 წლის 30 სექტემბრამდე საომარო მოქმედების დროს, ზურაბ კიკვაძე დაიღუპა 1992 წლის 27 ოქტომბერს საომარი მოქმედების დროს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად სამხედრო გოსპიტალში, აქედან გამომდინარე მის ოჯახს დახმარება დაუნიშნა მუნიციპალიტეტის გამგეობამ.)
4. უხუცეს დღეგრძელთა დახმარება ითვალისწინებს 1500 ლარს, გაიხარჯა 1200 ლარი; (4 უხუცესი თითოეულზე 300 ლარი ერთჯერადად) იანვარი 3, ზერიფე ანთაძე ზოტი, მარო სიხარულიძე შუაამაღლება, ნინა თოდუა კოხნარი, აპრილი 1 თამარა კალანდაძე ხიდისთავი.)

5. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე გათვალისწინებული 2000 ლარიდან გახარჯულია 750 ლარი; (3 მიცვალებული თითოეულზე 250 ლარი იანვარი 250 ლარი თალიკო ქორიძე ნაბეღლავი, მაისი 250 ლარი ბენია ჟღენტი ერკეთი, აგვისტო 250 ლარი ევგრაფო სიხარულიძე გოგოლესუბანი).
6. სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიურ პიპირობებში მყოფი ოჯახებიოსადმი ერთჯერად დახმარებაზე (გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შეძენა ან დაქირავება) ბიუჯეტით გათვალისწინებულია 168000 ლარი, ამ პერიოდისათვის გახარჯულია 113605 ლარი. (იანვარი 3100 ლარი, თებერვალის თვეში გაიცა 12570 ლარი აქედან 600 ლარი მიეცა ქვენობნის მცხოვრებ ლია კოპლატაძეს სახლის გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად, მარტის თვეში გაიცა 14370 ლარი, აქედან 2000 ლარი სახლზე გამაგრებითი და აღდგენითი სამუშაოს ჩასატარებლად მიეცა ორ ოჯახს შუშანა მგელაძეს ქვენობანი 1200 ლარი და ირინა კალანდაძეს 800 ლარი ბუკისციხე, აპრილის თვეში გაიცა 11180 ლარი, აქედან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით 4000 ლარი მიეცა სოფელ გოგოლესუბნის მცხოვრებს რუსუდან გოგოლაძეს, მაისის თვეში გაიცა 10230 ლარი, ივნისის თვეში გაიცა 35682 ლარი, აქედან სახლების გასამაგრებლად და სახურავის შესაკეთლებლად 11 ოჯახს მიეცა 21950 ლარი, ნესტან წეროძეს ჯვარცხმა 5000 ლარი, ზაური ხმალაძეს ხიდისთავი (ახალშენი) 3000 ლარი, გულნარა ჯიბუტს შუაამაღლება 4200 ლარი,ნინო ხაბეიშვილს ფარცხმა 1500 ლარი, გოჩა ჟღენს კოხნარი 1200 ლარი, ჯონი ცხომელიძეს დაბა 1200 ლარი, ნარგიზ მეკეიძეს 1200 ლარი, ეკა სიხარულიძეს ფარცხმა 1200 ლარი, ციური რამიშვილს დაბა 1200 ლარი, ავთანდილ ჯიბლაძეს შუამაღლება 450 ლარი, მაია ხოფერიას საჭამიასერი 1800 ლარი.) ივლისის თვეში გაიცა 13222 ლარი, აქედან 3000 ლარი სახლის სახურავის შესაცვლელად მიეცა კოხნარის (ბურნათი) მაცხოვრებელს მამა მათეს, აგვისტოს თვეში გაიცა 13250 ლარი აქედან 9000 ლარი სახლზე გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისა სახურავის რემონტისათვის მიეცა ოთხ ოჯახს.მაია კვინტრაძე საჭამიასერი 2000 ლარი, ირა ვაჩეიშვილი ერკეთი 2000 ლარი, შიო დოლიძე ამაღლება 2000 ლარი, ზინა რამიშვილი ზემოხეთი 3000 ლარი. (შემოსული 114 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 27 განცხადება): ერთჯერად დახმარებაზე შემოსული 708 განცხადებაზე დაკმაყოფილებული პასუხი გაეცა 632 განმცხადებელს.

   განცხადებაზე უარის თქმის ძირითადი მოტივია ოჯახის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობა, სათანადო დოკუმენტების (სარეიტინგო ქულა) არ წარმოდგენა, დახმარებისათვის მეორეჯერ მომამართვა.

ზოგიერთ შემთხვევაში ბენეფიციარის მეორეჯერ დაკმაყოფილება გამოწვეულია სასწრაფო გადაუდებელი მდგომარეობიდან გამომდინარე და საჭირო მედიკამენტების შესაძენად დახმარება.

თითოეული ბენეფიციარისათვის დახმარება გაწევის პრიორიტეტულობა დგინდება წარმოდგენილი სარეიტინგო ქულის, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და ზოგადად ოჯახის სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის შეფასების მიხედვით სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

მედიკამენტების შესაძენად დახმარებისათვის მოგვმართა 127 მოქალაქემ, ხოლო სოციალური მკურნალობისათვის 20 ბენეფიციარმა.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებაზე გათვალისწინებულია 1100 ლარი დღეისათვის გახარჯულია 950 ლარი. (თებერვალი 100 ერთჯერადი, აპრილი 400 ერთჯერადი, მაისი 350 ლარი–100 ლარი ერთჯერადი 250 ლარი სარიტუალო, ივნისი 100 ერთჯერადი).
8. 18 წელს ზევით ასაკისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 17 500 ლარი, დაიხარჯა 13940 ლარი. (იანვარი 200 ლარი, თებერვალი 690 ლარი, მარტი 600 ლარი, აპრილი 4480 ლარი, მაისი 3129 ლარი, ივნისი 1939 ლარი, ივლისი 1700, აგვისტო 1200 ლარი. აქედან 900 ლარი დაიხარჯა შშმ პირების მედიკამენტების შეძენაზე).

9. ონკოლოგიურ დაავადებით დაავადებულთა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 10900 ლარი, გახარჯულია 11161 ლარი (261 ლარით მეტი). (თებერვალი 1500 ლარი, მარტი 448 ლარი, აპრილი 3899 ლარი, მაისი 637 ლარი, ივნისი 1677 ლარი, ივლისი 600 ლარი, აგვისტო 2400 ლარი)

10. ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 15000 ლარი დაიხარჯა 11600 ლარი. (თებერვალი 800 ლარი, მარტი 1600 ლარი, აპრილი 1000 ლარი, მაისი 1600 ლარი, ივნისი 2200 ლარი, ივლისი 1800 ლარი, აგვისტო 2600 ლარი. სულ 58 ახალშობილი თითოეულზე 200 ლარი).

11. მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასკის ბავშვები) ოჯახების დახმარება ბიუჯეტით გათალიწინებული იყო 23 000 ლარი, გაიხარჯა 13300ლარი. (იანვარი 1900 ლარი, მარტი 1800, აპრილი 1900 ლარი, მაისი 1925 ლარი, ივნისი 1925 ლარი, ივლისი 1925 ლარი, აგვისტო 1925 ლარი. თითოეულ ბავშვზე 25 ლარი).

12. ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისადმი დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 6900 ლარი, დაიხარჯა 5204 ლარი. (იანვარი 400 ყოველთვიური, მარტი 400 ლარი, აპრილი 400 ლარი, მაისი 400 ლარი, ივნისი 2804 —400 ლარი ყოველთვიური 2404 ლარი პროდუქტების შესაძენი თანხა, ივლისი 400 ლარი, აგვისტო 400 ლარი).

13. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი დახმარება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 8600 ლარი და დაიხარჯა 6300 ლარი. (იანვარი 450 ლარი მედიკამენტები, 9 მაისი 6000 ლარი, ივნისი 300 მედიკამენტები . (4800 ლარი 24 ბენეფიციარზე თითოეულზე 200 ლარი აღნიშნული თანხა ნაჩვენებია სხვა პროგრამაში).).

14. 0–დან 18 წლამდე ასაკისა და შშმ ბავშვების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 4500 ლარი, გაიხარჯა 936 ლარი. (იანვარი 131 ლარი, თებერვალი 32 ლარი, აპრილი 431 ლარი, მაისი 58 ლარი, ივნისი 282 ლარი).

15. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, რომელიც გადიან დიალეზის კურსს (მგზავრობის ღირებულება) ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 14000 ლარი, გაიხარჯა 10800 ლარი. (იანვარი 1152 ლარი, თებერვალი 1152 ლარი, მარტი 1152 ლარი, აპრილი 1152 ლარი, მაისი 1296 ლარი, ივნისი 1440 ლარი, ივლისი 1584 ლარი, აგვისტო 1872 ლარი).

16. 0 და 18 წლამდე ასაკის პირების დახმარება . დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 11000 ლარი დაიხარჯა 3150 ლარი. (თებერვალი 425 ლარი, მარტი 375 ლარი, აპრილი 425 ლარი, მაისი 500 ლარი, ივნისი 475 ლარი, ივლისი 475 ლარი, აგვისტო 475 ლარი).

8 თვის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულ პირთა მოსაგონებლად 9 აპრილის სახელობის პარკში გაიმართა წირვა, 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძის საფლავი შემკობილ იქნა გვირგვინით, ხოლო მის ოჯახს და 9 აპრილს მოწამლულ ნანა მგალობლიშვილს გადაეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 500 ლარი. აგრეთვე დაენიშნათ ყოველთვიური ფულადი დახმარება შესაბამისად 150 და 100 ლარის ოდენობით.

9 მაისს მეორე მსოფლიო ომის 69–ე წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებული იქნა ღონისძიება ომის მონაწილე პირებთან ერთად. გვირგვინით შეიმკო ომში დაღუპულთა მემორიალი.

თითოეულ ომში მონაწილესა და ომში დაღუპულთა ქვრივებს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 250 ლარი.აგრეთვე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად მიეცათ 200 ლარი.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მებრძოლთა მოსახსენებლად ჩატარებული იქნა ღონისძიება, გვირგვინებით შეიმკო მემორიალი და დაღუპულთა საფლავები, ამასთან დაღუპულთა ოჯახებს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 300 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის კომფლიქტის დროს დაღუპულ ზურაბ კიკვაძის ოჯახს დაენიშნა ყოველთვიური ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით.

სამსახური კორდინაციას უწევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს. 2014 წლის 8 თვის განმავლობაში განხორციელებულია დებულებით გათვალისწინებული სამუშაოები და მიმდინარეობს მუშაობა. განსაკუთრებით საშიში ეპიდემიური დაავადებების წინააღმდეგ.

მუნიციპალიტეტის პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახური.

სოციალური დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება სამსახურის მიერ კონკრეტული შემთხვევის არსებითად ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებისადმი მომხდარი ცვლილებების სისტემატიურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები ბენეფიციართა სიებში (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა).

ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება–კლება, ბავშვების სრულწლოვანობის დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის მიერ საცხოვრებელი სახლის ან ბინის შეძენა დაქირავება და ა. შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დასკვნის სახით, სამსახურის უფროსის მიერ ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგებელს ბრძანების გამოსაცემად.